

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი

27.03.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
თინათინ ბოჭორიშვილი - შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
აკაკი ხელაძე - შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
მარინა გედევანიშვილი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გიორგი გვალია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;
ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი;

რუსუდან ლორთქიფანიძე - რექტორი;

ტატიანა ჯავახიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი:

მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამაზ ხვიჩია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

ნინო ჭიჭივეიშვილი - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;

გურამ ამყოლაძე - ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელი;

თამარ ოქროპირიძე - პროფესორი, სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი;

ლელა აფციაური - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამის ხელმძღვანელი;

მარიამ ველიჯანაშვილი - მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი;

თამარ სოზიაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი

ირინე ებრაელიძე - თავმჯდომარე;

ლევნ ცაგარელი - წევრი;

გიგა ხოსიტაშვილი - წევრი;

სალომე მაგნიძე - წევრი.

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

თამარ გაიხარაშვილი - თავმჯდომარე;

ცოტნე სამადაშვილი - წევრი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:20 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელო საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

1. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი: სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში განხორციელებულის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის, ნანი დალაქიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა დღის წესრიგს პირველ საკითხად დამატებოდა „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი. აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა გაზიარებული.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
2. სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.



1. „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მომართა ცენტრს მათ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რაც გამოწვეული იყო „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში) ცვლილებების შეტანის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებთან (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან) შესაბამისობის უზრუნველყოფის ვალდებულებით.

ნანი დალაქიშვილის განმარტებით, ცენტრმა უზრუნველყო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი პროგრამების შესაბამისობის შემოწმება შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებთან (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან). შესაბამისად, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მომართავდა საბჭოს შუამდგომლობით, შეეტანათ შესაბამისი ცვლილებები საბჭოს ადრინდელ გადაწყვეტილებებში წარმოდგენილი სახით. განსახილველი საკითხი ეხებოდა „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანას სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირებისა და პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის პროგრამებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, სამსახური შუამდგომლობდა, რომ მოცემულ გადაწყვეტილებაში შესულიყო შესაბამისი ცვლილებები.

ნანი დალაქიშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ მიზანშეწონილი იყო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო მიმდინარე წლის 27 მარტიდან, გარდა თევზსაჭერი გემის ნავიგაციის პროგრამისა, რომელიც წარმოადგენდა მოკლე ციკლის პროგრამას. აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით გადაწყვეტილება ძალაში უნდა შესულიყო „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ გამოცემული ბრძანების ძალაში შესვლის თარიღიდან. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

საბჭოს წევრის, კონსტანტინე სირბილადის კითხვაზე, ეს ცვლილებები ხომ არ იწვევდა პროგრამის შინაარსის ცვლილებას, ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ პროგრამის შინაარსის ცვლილება არ ხდებოდა, იცვლებოდა მხოლოდ მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი. კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდეს „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემზანის რიგითი მეზღვაური	მესამე	გემზანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	22	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	21	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელება ს მისამართი / მისამართები
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (1)	მესამე საფეხური	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679	79	94	ქართული	7	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
2	ამწის ოპერირება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	46	61	ქართული	20	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
3	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	45	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
4	ამწის ოპერირება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	76	106	ქართული	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53



5	შედულება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში 041274	79	109	ქართული	22	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
6	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	69	99	ქართული	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
7	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	51	81	ქართული	10	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53
8	თევზსაჭერი გემის ნავიგაცია (1)	მეხუთე დონე	ასოცირებული ხარისხი თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში 040780	88	118	ქართული	60	ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53

- (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;
- (2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ებრალიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც ეს ერთადერთი სამუსიკო დაწესებულება იყო რეგიონში. ექსპერტები კონსტრუქციულად მიუდგნენ მონიტორინგის პროცესს და მათი მიზანი იყო ისეთი რეკომენდაციები და რჩევები შეემუშავებინათ კოლეჯისთვის, რომელიც მის გაუმჯობესებას უზრუნველყოფდა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო რეკომენდაციები პირველ სტანდარტთან დაკავშირებით:

- რეკომენდებულია დაიწეროს შესაბამისი დოკუმენტი საზოგადოებრივი კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- რეკომენდებულია ავტორიზაციისთვის შემუშავდეს 7-წლიანი სტრატეგიული გეგმისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის სისტემა და შეიქმნას შესაბამისი დოკუმენტი;
- რეკომენდებულია განისაზღვროს კოლეჯის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესი და/ან პროცედურა;
- რეკომენდებულია მოხდეს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა;
- რეკომენდებულია ინტენაციონალიზაციის მიმართულებით ფუნქციების დელეგირება მოხდეს კონკრეტულ ადამიანზე ან სტრუქტურულ ერთეულზე, რათა არსებული გეგმის შესრულება მოხდეს ეფექტიანად;
- რეკომენდებულია შემუშავდეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი, საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები და აისახოს კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტში.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რაიმე რჩევა ხომ არ მიუციათ კოლეჯისთვის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების თაობაზე, რადგან დაწესებულებას ერთ-ერთ არსებით საფრთხედ მჭირი ფინანსები ჰქონდა მიჩნეული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ებრალიძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ამასთან დაკავშირებით რჩევა მისცა დაწესებულებას. აქვე მან აღნიშნა, რომ ეს არა მხოლოდ ამ კოლეჯის არამედ სახელოვნებო პროფილის მქონე უმეტესი სახელმწიფო დაწესებულებების პრობლემა იყო.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, რატომ ჰქონდა კოლეჯს საფრთხეებში მითითებული ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოების მიერ უარყოფითი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, კერძოდ, რა იყო ამ საფრთხის მოლოდინის მიზეზი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ებრალიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას იდენტიფიცირებული ჰქონდა ის გამოწვევები, რაც არსებობდა კოლეჯში. მათ ეს რისკები შეაფასეს და სავარაუდოდ, აღნიშნული მიზეზით ჰქონდათ ისინი საფრთხეებში მითითებული.

საბჭოს წევრის შეკითხვასთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ისინი ფიქრობდნენ განვითარებაზე, თუმცა გარკვეული შიშები ჰქონდათ ამ პროცესებთან დაკავშირებით. მსგავსი პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო რეგიონში, რადგან მათი კურსდამთავრებულებით იყო დაკომპლექტებული რეგიონის სკოლები და საბავშვო-ბაღების პედაგოგები. მისია დაწესებულებას ჩამოყალიბებული ჰქონდა და საავტორიზაციოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციაც ძირითადად მოწესრიგებული ჰქონდათ. დაწესებულებას ჰქონდა კაპიტალური შენობა, მუსიკალური ინსტრუმენტები, რომელიც მოძველებული იყო, თუმცა ფუნქციონირებდა. მათი ყველაზე დიდი პრობლემა მჭირი ფინანსები იყო. დაწესებულების ძირითადი შემოსავალი სტუდენტთა სწავლის საფასური იყო. რექტორი ადგილობრივი ხელისუფლებისა და კერძო სექტორისაგან ითხოვდა დამატებითი დაფინანსების გამოყოფას, თუმცა უშედეგოდ. მან აქვე დასძინა, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, დაწესებულებების შერწყმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი შეუერთდებოდა უნივერსიტეტს, განვითარებაზე საუბარი უფრო ხელშესახები გახდებოდა.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა ბიუჯეტში მითითებული საკუთარი შემოსავლები - 4268 ლარის ოდენობით, რა წყაროდან მიღებული სახსრები იყო. დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ეს იყო სხვადასხვა შემომწირველებისგან მიღებული თანხა.

საბჭოს წევრმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, თუ რატომ არ აქირავებდნენ თავისუფალ ფართებს, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით. აღნიშნულის თაობაზე, რექტორმა განმარტა, რომ მათაც ჰქონდათ ამის მცდელობა, თუმცა დაინტერესებული პირების მოძებნა რთული იყო, რომელიც სოლიდურ საფასურს გადაიხდიდა. მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა, გიგა ხოსიტაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არსებული სტრუქტურით შეეძლო დასახული მიზნების მიღწევა. დაწესებულებას ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით ესაჭიროებოდა საქმიანობის გაძლიერება. რეკომენდაცია დაფიქსირებული იყო ასევე ელექტრონულ საქმიანობების სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ეთიკის კოდექსი, რომელიც აერთიანებდა პლაგიატის მიმართ გასატარებელ ღონისძიებებს. ექსპერტმა საბჭოს წევრებს წარუდგინა მე-2 სტანდარტთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კოლეჯის მიერ მიწოდებული სერვისების შეფასების მეთოდის დახვეწა, ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ გააძლიეროს მუშაობა იმ ღონისძიებებზე, რომელიც ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობაზე და წახალისებაზეა მიმართული;

- რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშაოს აკადემიური სერვისები, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის, რომელიც მიმართული იქნება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისკენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ შეიძლებოდა საშემსრულებლო პროფესიებში პლაგიატის აღმოჩენა. დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ საშემსრულებლო პროფესიებში სტუდენტი ყოველთვის სხვის მიერ შექმნილ ნაწარმოებს ასრულებდა, თუმცა დაწესებულების მოთხოვნა იყო, რომ სტუდენტს წარმოედგინა თავისი დამოკიდებულება ამ ნაწარმოების მიმართ. ამით ერთგვარად უზრუნველყოფდა კოლეჯი ყველა შემსრულებლის მიერ ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბებას. ამასთან ეთიკის კოდექსში უკვე ასახული იყო პლაგიატის მიმართ გასატარებელი ღონისძიებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ებრალიძემ განმარტა, რომ სხვადასხვა რეგულაციები გაბნეული იყო სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში, რის გამოც ექსპერტებს გაურთულდათ მოეძებნათ ყველა მათგანი, ამიტომ რიგ შემთხვევაში დასკვნაში მითითებული იყო, რომ ესა თუ ის დოკუმენტი ვერ მოიძიეს, თუმცა ეს არ ნიშნავდა ცალსახად იმას, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული რეგულაცია.

საბჭოს წევრმა კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს, ჰქონდათ თუ არა საფინანსო და იურიდიული სამსახურები, რადგან სტრუქტურაში არ იყო მითითებული, თუმცა შეფასების კითხვარში ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა საფინანსო სამსახურის შეფასებას. რექტორმა განმარტა, რომ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები არ ფუნქციონირებდა დაწესებულებაში, თუმცა ჰყავდათ ერთი იურისტი და ბუღალტერი.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ მართალია დაწესებულებას საფინანსო სამსახური არ ჰყავდა, მაგრამ საფინანსო აღრიცხვა საკმაოდ კარგად ჰქონდა მოწესრიგებული.

მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ებრალიძემ განმარტა, რომ პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონდათ. რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამის ფორმას, რომელიც მათი აზრით ცოტა მომველებული იყო. შეფასების კრიტერიუმი იყო სულ სამი, შუალედური შეფასება იყო 60%, ხოლო ფინალური 40%-იანი. ექსპერტებმა ამ მიმართულებით ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები და მიაჩნდათ, რომ თუ მოხდებოდა მათი გათვალისწინება პროგრამის განმახორციელებელ პირებს მიეცემოდათ შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან პროგრამაში არჩევითი საგნები მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი. არჩევითი იყო არაპროფესიული საგნები. ექსპერტებმა რეკომენდაცია მისცეს დაწესებულებას ინფორმატიკის ნაცვლად სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამები, რომელიც ამ სფეროში მრავალად არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, დაწესებულებას ჰქონდა თუ არა პროგრამის შემუშავების წესი, იყო თუ არა უნიფიცირებული პროგრამის და სილაბუსის ფორმები, შეფასების წესი შეესაბამებოდა თუ არა მინისტრის მე-3 ბრძანებას. ექსპერტმა დაადასტურა, რომ არსებობდა პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის და სილაბუსის ფორმები, რომლებიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ადრე არსებობდა ორი შუალედური შეფასება, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ პირველ შუალედურზე, რომელიც სწავლის დაწყებიდან მე-7 სასწავლო კვირას ტარდებოდა, სტუდენტს ვერ მოჰქონდა ნაშრომი, რადგან საკმაოდ მცირე დრო ჰქონდა მოსამზადებლად. ამის გათვალისწინებით შეიტანეს ცვლილება და მხოლოდ ერთი შუალედური შეფასება ჰქონდა ამჟამად დაწესებულებას.

საბჭოს წევრებმა, მარინა გედევანიშვილმა და ირაკლი ხვთისიაშვილმა განმარტეს, რომ დაწესებულებას საკმაოდ მრავალფეროვანი კითხვარები ჰქონდა შემუშავებული, გამოკითხვები ეხებოდა, როგორც მატერიალური რესურსებით კმაყოფილებას, ასევე საბიბლიოთეკო რესურსს და ა.შ.

მე-3 სტანდარტთან დაკავშირებული ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები იყო შემდეგი::

- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების განახლება-გადახალისება თანამედროვე მოთხოვნების და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია შეფასების სისტემის განახლება თანამედროვე სტანდარტების თანახმად.

მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ლევან ცაგარელმა განმარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია ძირითადად შეეხებოდა აკადემიური პერსონალის გადახალისებას და ახალგაზრდა კადრების მოზიდვას. ასევე, დაწესებულებას ზუსტად არ ჰქონდა გაწერილი, თუ რას მოიცავდა აკადემიური პერსონალის დატვირთვა. ამდენად ექსპერტების რეკომენდაცია იყო დაწესებულებას შემუშავებინა პოლიტიკა და ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით, ხომ არ დაფიქსირდა შრომის კოდექსით გათვალისწინებულ სამუშაო საათებთან მიმართებით გადაცდენა, ასევე შემუშავებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას აფილირების წესი. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონდათ.

დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა ნამდვილად გამოწვევა იყო, თუმცა ეს რეგიონის დონეზე არსებული პრობლემა იყო, ვინაიდან ახალგაზრდა კადრების გადინება ხდებოდა დედაქალაქში და საზღვარგარეთ, ასევე, ახალგაზრდა კადრების დაინტერესება საკმაოდ მწირი ხელფასით რთული იყო. მათ ჰყავდათ ძალიან დეაქტიური პერსონალი, რომლებიც გარდა იმისა, რომ ძალიან კარგი შემსრულებლები იყვნენ, ასევე, გამოცდილ პედაგოგებს წარმოადგენდნენ. ამდენად, მათთან ხელშეკრულების გადახედვა ასაკის გამო ნამდვილად ვერ მოხდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების ფორმასთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი განცხადებით, მონიტორინგის განხორციელება მხოლოდ დოკუმენტების შემოწმებით, დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების გარეშე არ იძლეოდა სრულყოფილ წარმოდგენას დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, რთული იყო მატერიალური რესურსის შეფასება, სტუდენტური სერვისების ეფექტურობის შეფასება, სტუდენტებთან ინტერვიუების გარეშე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათი მოსაზრებით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეფასების გასაკეთებლად საკმარისი იყო და ვიზიტი გადაწყვეტილების შინაარსზე ვერ მოახდენდა გავლენას.

ექსპერტებმა საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნეს მე-4 სტანდარტთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმი;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ იზრუნოს თავისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალი / ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სტრატეგია;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტებისა და პროფესორების კმაყოფილების კვლევას, მათ ჩასატარებლად დაიქირავოს პროფესიონალ/ებ/ი, შემდეგ კი გამოიყენოს კვლევის შედეგები მართვისა და სწავლების დონის გასაუმჯობესებლად;
- კოლეჯმა უნდა შეიმუშავოს პერსონალთან და მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები;
 - რეკომენდებულია გადაიხედოს პროფესორთან დატვირთვის გეგმები იმგვარად, რომ მათში შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და პედაგოგიურსა და შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობასთან ერთად აღნუსხვას ექვემდებარებოდეს პერსონალის წევრთა ადმინისტრაციული, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული და სხვა სახის აქტივობები.

მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა, სალომე ძაგნიძემ განმარტა, რომ რეკომენდაცია შეეხებოდა სტუდენტთა საჩივრების განხილვის წესის შემოღებას, რომელითაც მოწესრიგდებოდა სტუდენტის მიერ მაგალითად, გამოცდაზე მიღებული შეფასების გადასინჯვის საკითხი. ასევე ექსპერტებმა დოკუმენტაციის შესწავლის დროს ვერ მოიძიეს სტუდენტთთვის გამოყოფილი საკონსულტაციო დროის შესახებ ინფორმაცია, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებულ პასუხთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა სტუდენტთა საკონსულტაციო დროს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტს ჰქონდა სახელმწიფო სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობა. ასევე, სტუდენტებს ჰქონდათ სწავლის დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა სამინისტროსგან და კარგი იქნებოდა თუკი ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნებოდა საჯაროდ. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ დააზუსტა, რომ სტუდენტთა პროგრამული დაფინანსების წესი შეცვლილი არ იყო, თუმცა კულტურის სამინისტროს რეორგანიზაციის შემდგომ ეს ფუნქცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჰქონდა გადაცემული.

ექსპერტმა წარადგინა მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტთა საჩივრების (აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესახებ) მიღება-განხილვის პროცედურები;
- რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ჩატარების და შედეგებზე რეაგირების მექანიზმი;
- რეკომენდებულია, რომ კოლეჯმა დანერგოს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები;
- რეკომენდებულია, რომ კოლეჯმა სტუდენტები უზრუნველყოს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებით;
- რეკომენდებულია, კოლეჯმა გაასაჯაროვოს ინფორმაცია სტიპენდიებისა და სხვა ფინანსური დახმარებების შესაძლებლობის შესახებ.

მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა, ლევან ცაგარელმა განმარტა, რომ დაწესებულება ახორციელებდა შემოქმედებით საქმიანობას. კერძოდ, ატარებდა კონცერტებს, ღია გაკვეთილებს, რითაც თავისი წვლილი შეჰქონდა რეგიონის კულტურულ განვითარებაში. ინტერნაციონალიზაცია ძირითადად დაკავშირებული იყო კურსდამთავრებულების მიერ უცხოეთში მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებასთან. დაწესებულებას მეზობელ ქვეყნებთან ჰქონდა ერთობლივი საქმიანობის გამოცდილებაც, მაგალითად ჩაატარდა ერთობლივი კონცერტი ერევანში. თუმცა ამ საქმიანობის შეფასება არ ხდებოდა, ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა არ მუშაობდა. დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს მაგალითად, კონცერტის შეფასების სტრატეგია, მექანიზმები. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად დაწესებულებას ესაჭიროებოდა კვალიფიციური სპეციალისტი, განათლების ან/და სოციოლოგიის მიმართულებით. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული კითხვარები არ იყო უშუალოდ შეფასებაზე მიმართული. კითხვები არ იყო სწორედ შერჩეული. ამისთვის საჭირო იყო კვალიფიციური კადრები, რომლებიც სწორად შეარჩევდნენ ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ტატიანა ჯავახიშვილმა განმარტა, რომ შემოქმედებითი საქმიანობა მათ კოლეჯში მიმდინარეობდა. რაც შეეხებოდა კვლევითი საქმიანობის შეფასებას, აღნიშნული ვალდებულების შესახებ ისინი ინფორმირებულები არ იყვნენ და შესაბამისად არ აფასებდნენ, თუმცა, ამ ეტაპზე ამ მიმართულებითაც უკვე დაიწყო საქმიანობა. კერძოდ, ადგენდნენ შესაბამის ოქმებს, ქმნიდნენ სხვადასხვა დოკუმენტებს. თუმცა მათი მთავარი შემფასებელი იყო ის მაყურებელი, რომელიც კონცერტზე დადიოდა და აპლოდისმენტებს არ იშურებდა. დაწესებულების პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობას ღებულობდნენ ყოველწლიურ კონფერენციებში, რომელიც მათი პროფესიული ზრდის საშუალებას წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვა დაუსვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, როგორც დარგის სპეციალისტი, რას ფიქრობდა ასეთი ტიპის დაწესებულებისთვის რა მიიჩნეოდა სამეცნიერო საქმიანობად. ირინე ებრალიძემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნა იყო კვლევა ან შემოქმედებითი საქმიანობა, კოლეჯი შემოქმედებითი საქმიანობას ახორციელებდა.

ექსპერტებმა საბჭოს წევრებს გააცნეს მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ქსკ-მა იზრუნოს სწავლების, საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობისა და ეკონომიკის ინტეგრაციაზე, და ამ მიზნით ითანამშრომლოს ეკონომიკურ აგენტებთან და ხელი შეუწყოს ინოვაციურ განვითარებას;
- რეკომენდებულია მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული პროფესორის ფუნქციები სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში და ასევე შემაჯამებელი კონცერტისთვის მზადების პროცესში; ასევე განისაზღვროს, რამდენი სტუდენტის ხელმძღვანელობა შეუძლია თითო პროფესორს;
- რეკომენდებულია ქსკ-მა იზრუნოს იმაზე, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვით უზრუნველყოფილი იყოს სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების ეფექტიანი და ხარისხიანი ხელმძღვანელობა და ინდივიდუალურად ან გუნდურად განხორციელებული პროექტების მაღალი ხარისხი (ე.ი. სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობა უნდა აისახოს აკადემიური პერსონალის დატვირთვაში);
- რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს საანგარიშო კონცერტების შეფასების წესი და განახორციელოს საანგარიშო კონცერტების წარმატებით ჩატარების მაჩვენებელთა ანალიზი;

- რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი და საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები, რაც უნდა აისახოს მის ბიუჯეტსა და სტრატეგიულ გეგმაში;
 - რეკომენდებულია ქსკ-მა წაახალისოს და ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის მიერ სხვადასხვა წყაროდან შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობისთვის და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად დაფინანსების მოპოვებას და ამ მიზნით გაუწიოს მას კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებასთან, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით;
 - რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და მხარდაჭერის სისტემა და მხარი დაუჭიროს სტუდენტთა სახელოვნებო-შემოქმედებით ინიციატივებს;
 - ქსკ-მა უნდა იზრუნოს ინსტიტუციური თანამშრომლობის დამყარებაზე უცხოელ პარტნიორებსა და საერთაშორისო შემოქმედებით ცენტრებთან, ერთობლივი სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაზე, ასევე უცხოელი პროფესორების მონაწილეობაზე კოლეჯის სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობაში;
 - რეკომენდებულია ქსკ-მა განახორციელოს თავისი აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი;
 - რეკომენდებულია რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები განხორციელებული შემოქმედებითი პროექტების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგები გამოყენებული იქნას კოლეჯის შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.
- მე-7 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა, გიგა ხოსიტაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას მწირი დაფინანსების გამო 2005 წლიდან არაფერი შეუძენია, გარდა კონდიციონერისა და ველოტრენაჟორისა. ბიბლიოთეკების ასოციაციასთან გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება. თუმცა, სამეცნიერო ელექტორნული ბაზა არ იყო ხელმისაწვდომი. საინფორმაციო რესურსებთან დაკავშირებით ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, ელექტრონული პლატფორმის გამოყენება მომხდარიყო სწავლებს პროცესში, wifi ხელმისაწვდომი ყოფილიყო დაწესებულებაში. ამასთან, იმის გამო რომ დაწესებულების ძირითადი დაფინანსების წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები წარმოადგენდა, რეკომენდებული იყო აუდიტის შეფასების განხორციელება.

მე-7 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ შემუშავებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშაოს და განახორციელოს სამოქმედო გეგმა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა შენობაში თავისუფლად გადაადგილებისთვის;
- რეკომენდებულია ელექტრონული კატალოგის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა (შესაძლებელია უფასო ვერსიების გამოყენება);
- რეკომენდებულია სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა (მათ შორის ღია წვდომის ბაზები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე);
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათების გაზრდა და სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდებულია საბიბლიოთეკო ფონდებისა და სერვისების განახლების მიექანიზმების ჩამოყალიბება/გაწერა;
- რეკომენდებულია საბიბლიოთეკო ფონდის განახლება დარგში არსებული აქტუალური რესურსებით (ყოველწლიური გეგმის არსებობა);
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა/ხელშეწყობა;

- რეკომენდებულია კოლეჯის ინფორმაციული პოლიტიკის წესში მოხდეს შესაძლო რისკების მართვის გათვალისწინება;
- რეკომენდებულია დაინერგოს/ამოქმედდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობას. საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს გაწეული სამუშაოსათვის და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე საკითხს გამოკვლევის მიმართ უკმარისობის განცდა ან ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები მათთვის მისაღები იყო და გაითვალისწინებდნენ კიდევ სამომავლო საქმიანობაში, ყველა საკითხი განხილული იყო სრულყოფილად. მან მადლობა გადაუხადა მხარდაჭერითვის ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს და განმარტა, რომ კოლეჯის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო რეგიონისათვის, რადგან ის ერთადერთი უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი იყო დასავლეთ საქართველოში და ითხოვა ამ ფაქტის გათვალისწინება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 17:56 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:19 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა ზეპირ მოსმენაზე იმსჯელეს და ჰქონდათ ხანგრძლივი დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭომ აღნიშნა, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდა, როგორც ექსპერტთა შეფასებას, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, ასევე საჯარო განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებს.

საბჭომ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ანალიზის, დაწესებულების მიერ მონიტორინგისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და საბჭოს ზეპირი განხილვის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდნენ, რომ დაწესებულებას მართალია ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, თუმცა მისი გამოსწორება შესაძლებელი იყო. საბჭო ითვალისწინებდა სტანდარტის მოთხოვნას, აგრეთვე დარგის სპეციალისტი ექსპერტის განმარტებას, იმასთან დაკავშირებით, რომ საშემსრულებო პროფესიაში კვლევით საქმიანობად შესაძლოა მიჩნეულიყო შემოქმედებითი საქმიანობა, ამდენად დაწესებულება მე-6 სტანდარტის 6.3 კომპონენტში „კვლევითი საქმიანობის შეფასება“ უნდა შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. თუმცა, მე-6 სტანდარტი შეფასების შკალის მიხედვით კვლავ რჩებოდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამასთან, საბჭო ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ განიხილებოდა კოლეჯის სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიერთების საკითხი, რაც კოლეჯის კიდევ უფრო მეტად განვითარებას შეუწყობდა ხელს. შესაბამისად, საბჭო მიიჩნევდა, რომ დაწესებულებას უნდა განესაზღვროს ხარვეზების გამოსასწორებელი ვადა, ხოლო ექსპერტების მიერ ხარვეზების გამოსწორების გადამოწმება უნდა მოხდეს ადგილზე ვიზიტის განხორციელებით.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯისთვის დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს (ს/კ: 212907513) დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.



3. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

განსახილველ საკითხთან მიმართებით, საბჭოს წევრმა, თინათინ ბოჭორიშვილმა განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან ის წარმომადგენდა აღნიშნული დაწესებულების რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს გადაუხადა მადლობა გაწეული სამუშაოსთვის და სთხოვა ექსპერტებს საბჭოსთვის მოეხსენებინათ განხორციელებული შეფასების ძირითადი მიგნებები და მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

ექსპერტმა, თამარ გაიხარაშვილმა განმარტა, რომ ჯგუფის ორი წევრი, ქეთევან კანკავა და ია ფანცულაია ობიექტური მიზეზების გამო ვერ ესწრებოდნენ საბჭოს სხდომას. ამასთან, ექსპერტი, ქეთევან კანკავა იმყოფებოდა საზღვარგარეთ და საჭიროების შემთხვევაში მზად იყო საბჭოს სხდომას ჩართვოდა Skype-ის მეშვეობით.

თამარ გაიხარაშვილის განცხადებით, ექსპერტებმა მონიტორინგის შეფასების პირველი ეტაპის ფარგლებში შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თუმცა ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს განხორციელებულიყო ვიზიტი. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 30 იანვარს, ექსპერტები შეხვდნენ დაწესებულების წარმომადგენლებს და დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება განვითარების გზაზე იდგა, განახლებული იყო პერსონალი. ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება და შესრულება, ექსპერტთა აზრით, დაწესებულებას შეეძლო ერთი წლის განმავლობაში. სამოქმედო გეგმა ექსპერტთა აზრით იყო უფრო ზოგადი, უმჯობესი იყო დაკონკრეტებულიყო აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- სამოქმედო გეგმაში გაიწეროს თითოეული მიმართულების შესაბამისი კონკრეტული ქმედებები, განსაზღვროს შესრულების სავარაუდო ვადები, აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მანანა ცერცვაძემ განმარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით მისაღები იყო და დაწესებულებას გააჩნდა ყველანაირი რესურსი რეკომენდაციის შესასრულებლად.

მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ გაიხარაშვილმა განმარტა, რომ კარგი იქნებოდა თუ დაწესებულება სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრავდა სტრუქტურას. ასევე, სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა იქნებოდა უფრო მჭიდრო. ადმინისტრაციული პერსონალის დანიშვნა უმჯობესია ხდებოდეს გამჭვირვალე წესით, ასევე საჭირო იყო ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების განხორციელება. დაწესებულებას არ ჰქონდა პლაგიატის აღმოჩენი ელექტრონული პროგრამა, იყენებდნენ ინტერნეტში არსებულ უფასო პროგრამებს. ექსპერტების რეკომენდაცია შეეხებოდა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვას. რეკომენდაცია ასევე შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პერსონალის დამატებას, რადგან კიდევ უფრო გაძლიერებულიყო სამსახური.

მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საჭიროა მოხდეს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურის განსაზღვრა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიხედვით;
- საჭიროა სტრუქტურებს შორის კავშირის კარგად წარმოჩენა, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გამიჯვნა და უფლებების დელეგირება;
- საჭიროა ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის დანიშვნისათვის გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება;
- საჭიროა მოხდეს ხარისხის სამსახურის მიერ მიღებული სტუდენტის, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- საჭიროა არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის შეფასება, არამედ ადმინისტრაციული პერსონალის/მენეჯმენტის მართვის მუშაობის შეფასება;
- საჭიროა ფუნქციების დელეგირება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანების დეტალიზირება და გამიჯვნა სხვა სამსახურების ფუნქციიდან (მაგალითად ინფრასტრუქტურის ან ბიბლიოთეკის შემოწმება), ასევე ხარისხის სამსახურში სპეციალისტების დამატება;
- რეკომენდებულია შემუშავებულ იქნეს პლაგიატის აღმოჩენისა და აღმოფხვრის ერთიანი მექანიზმები და შეძენილ იქნეს პლაგიატის ამოცნობის სისტემა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ უკვე გაფორმებული ჰქონდათ ანტიპლაგიატის პროგრამის შეძენის თაობაზე ხელშეკრულება საბიბლიოთეკო ასოციაციასთან. ამასთან, აკადემიური წერის სილაბუსში გაწერილი იყო აკადემიური კეთილსინდისიერების თაობაზე შესაბამისი საკითხები. მათი მიზანი იყო თითოეულ სტუდენტამდე დაეყვანათ პლაგიატის არსი და პლაგიატის მოსალოდნელი შედეგები. დაწესებულებას მიაჩნდა, რომ პლაგიატის პრევენცია უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე მისი აღმოფხვრა.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას პლაგიატის შემთხვევები დაფიქსირებული და როგორი იყო პრაქტიკა ამ მიმართულებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ორი წელია რაც ის ამ დაწესებულებაში მუშობდა და მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა რეკომენდაცია, პერსონალის მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავებაში და რამდენად იყო ეს ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობა და ხომ არ წარმოადგენდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ვალდებულებას. ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებდა ყველა ტიპის გამოკითხვებს, მათ მიერ უნდა შემუშავებულიყო აღნიშნული დოკუმენტიც. ამასთან, ვინაიდან მხოლოდ ერთი თანამშრომლით იყო ეს სტრუქტურული ერთეული წარმოდგენილი, მიზანშეწონილი იყო ამ მიმართულებით ადამიანური რესურსის გაზრდა. ექსპერტმა ვერ მოიძია წარმოდგენილ დოკუმენტებში მსგავსი შინაარსის მეთოდოლოგია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დაწესებულება ატარებდა გამოკითხვებს და ამ შედეგების ანალიზს ახდენდა, რის შედეგადაც გეგმავდა სათანადო ღონისძიებებს.

საბჭოს წევრი, გიორგი გვალია დაინტერესდა, თუ როგორ ახდენდა დაწესებულება აკადემიური პერსონალის შეფასებას. აღნიშნულის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ და მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, ნინო ჭიჭივეიშვილმა განმარტეს, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდებოდა გამოკითხვები საგანმანათლებლო პროგრამებისა და მიწოდებული სერვისების თაობაზე. ასევე დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები, გამოკითხვის შედეგების მიხედვით ხდებოდა მისი გამოყენება.

მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა, თამარ გაიხარაშვილმა განმარტა, რომ ამ სტანდარტთან დაკავშირებით საკმაოდ მრავალი რეკომენდაცია შემუშავეს ექსპერტებმა. ძირითადი საკითხი შეეხებოდა მედიცინის პროგრამაში მედიცინის განახლებული დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებას, რაც გულისხმობდა საგანმანათლებლო პროგრამაში კლინიკური სწავლების ინტეგრაციას. ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დროს გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტი, თუმცა დაწესებულებამ განმარტა, რომ დოკუმენტი შემუშავების პროცესში იყო და ექსპერტებს მასზე მუშაობა გაუჭირდებოდათ. ასევე, მნიშვნელოვანი იყო სტუდენტებისათვის კონკრეტული სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხი, ვიდრე აირჩევდნენ ამა თუ იმ კურსს, მათთვის ცნობილი უნდა იყოს, თუ რას მოიცავდა სასწავლო კურსი და რა შედეგზე გავიდოდა ის აღნიშნული კურსის გავლის შედეგად.

მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საჭიროა განხორციელდეს უნივერსიტეტის ერთეულ პროგრამებზე არსებული სამაგალითო გამოცდილების განზოგადება მთელი უნივერსიტეტის, ყველა პროგრამის მასშტაბზე;
- საჭიროა მოხდეს პროგრამების დაგეგმვაში შრომის ბაზრისა და გარე კონტრიბუტორების ჩართულობის ფორმალიზება;
- საჭიროა, რომ სტუდენტების ჩართულობა პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში იყოს სტრუქტურირებული და მათი როლი ამ პროცესში მათთვის სათანადოდ იყოს განმარტებული;
- საჭიროა მოხდეს სასწავლო პროგრამების დაგეგმვისას მოხდეს ინტერნაციონალიზაციის საჭიროების გათვალისწინება;
- პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს მობილობის მსურველი სტუდენტებისთვის სხვა პროგრამებთან თავსებადობის საკითხი;
- მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო კოლაბორაცია პროგრამების ფუნდამენტური ცვლილებების პროცესში;
- სტუდენტის დარგობრივ კომპეტენციაზე გასვლის შესაფასებლად საჭიროა არსებობდეს კონკრეტული ინსტრუქცია, მით უფრო თუ ამ მაჩვენებელს ეფუძნება პროგრამის წარმატებულობის შეფასება.
- მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს განახლებულ დარგობრივ მახასიათებელს;

- უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია სწავლების სხვადასხვა საფეხურების შესახებ, ასევე უნივერსიტეტის ძირითად სამუშაო დოკუმენტებში არსებული სხვა დეფინიციებისა და ფუნდამენტური საკითხების შესახებ;
- არჩევითი კურსების შინაარსი და სილაბუსი სტუდენტებისათვის უნდა იყოს ცნობილი, ხელმისაწვდომი და სათანადოდ განმარტებული იყოს;
- მრავალფეროვანი და დარგის სპეციფიკაზე მორგებული სწავლა-სწავლების მეთოდები თანაბრად ცნობილი და გამოყენებული უნდა იყოს სწავლებაში ჩართული პერსონალის მიერ;
- პროგრამების დეტალები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის პოტენციური სტუდენტებისთვის ვებ.გვერდის საშუალებით;
- ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების წესი უნდა იყოს დეტალიზებული, სპეციფიური და ატარებდეს საჭიროების შემთხვევაში ინსტრუქციად გამოყენებადი მზა დოკუმენტის სახეს.;
- სწავლის შედეგების შეფასების მხრივ პედაგოგების მომზადება უნდა იყოს ერთგვაროვანი, რათა სტუდენტების მოლოდინი და შესაძლებლობები არ იყოს დამოკიდებული კონკრეტულ პედაგოგზე ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში;
- სტუდენტები სრულფასოვნად უნდა იყვნენ ინფორმირებული დარგობრივი კომპეტენციების, პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების, მათი მიღწევის გზებისა და პროგრამის აღწერილობაში არსებული შეფასების მეთოდების შესახებ;
- სტუდენტის დარგობრივ კომპეტენციაზე გასვლის შესაფასებლად უნდა არსებობდეს კონკრეტული ინსტრუქცია, მით უფრო თუ ამ მაჩვენებელს ეფუძნება პროგრამის წარმატებულობის შეფასება;
- უნდა არსებობდეს ფორმალური და უნიფიცირებული პროცედურა სტუდენტის საჩივრებზე რეაგირებისათვის;
- სტუდენტები უნდა იღებდნენ კომენტარს თავიანთი ნაშრომების შესახებ უნიფიცირებული სქემით, ეს იყოს უნივერსიტეტიდან ინიცირებული პროცესი და არა ერთეული სტუდენტის აქტიურობის შედეგი.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პროგრამის ხელმძღვანელი, პედაგოგები და აქტიურად მუშაობდნენ პროგრამის ახალ სტანდარტზე გადაწყობის მიმართულებით. დაწესებულების მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამამ 2018 წელს პირობითი აკრედიტაცია მიიღო და მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში უნდა წარედგინათ სააკრედიტაციო განაცხადი რეაკრედიტაციისთვის. მისი განმარტებით, ახალი პროგრამა სრულად იქნებოდა შესაბამისი დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს, მიმდინარე წლის კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული კვალიფიკაცია იქნებოდა თუ არა მისადაგებული დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან. მათი განმარტებით, მიმდინარე წლის კურსდამთავრებულები დაასრულებდნენ აკრედიტებულ პროგრამას, ხოლო დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში შედგენილი პროგრამა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი იქნებოდა მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში.

საბჭოს წევრმა, რიმა ბერიაშვილმა განმარტება გააკეთა ახალი დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან დაკავშირებით. მისი თქმით ახალი სტანდარტი ითვალისწინებდა პირველი კურსიდანვე სტუდენტის შესვლას კლინიკაში, ფაქტობრივად ეს იყო თეორიული და კლინიკური სწავლების ერთობლიობა.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა განმარტება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ დარგობრივი სტანდარტის მიხედვით მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი

დაწესებულებები ვალდებული იყვნენ 2019 წლის 1 იანვრიდან შემუშავებული ჰქონოდათ ნაწილობრივი ინტეგრაცია უკვე აკრედიტებული პროგრამებისთვისაც კი, ეს ჩანაწერი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაშიც იყო ასახული.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა დადებითად შეაფასა დაწესებულების მიერ ჩატარებული მოცულობითი საქმიანობა. თუმცა აქვე ის დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო შესაბამისი ღონისძიებები გატარებული სწავლის შედეგების კვლევის შემდგომ დაფიქსირებული უარყოფითი შეფასებების აღმოსაფხვრელად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დაწესებულება თვლიდა, რომ სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასება სწავლის მიმდინარეობის პროცესშიც მნიშვნელოვანი იყო, შეფასება ტარდებოდა ელექტრონულად, რეაგირება ნაკლოვანებების აღმოჩენის შემდგომაც მყისიერი იყო. მაგალითად, როცა სტუდენტმა შეფასების შედეგად გამოვლინდა ლექტორის ინგლისური ენის კომპეტენციის პრობლემა, ეს პედაგოგი გადაყვანილი იყო ქართულ სექტორზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, თუ როგორ მოხდებოდა მე-5, მე-4, მე-3 და მე-2 კურსის სტუდენტების გადაყვანა მოდიფიცირებულ პროგრამაზე, კერძოდ, რა მექანიზმი ჰქონდა შემუშავებული დაწესებულებას, როგორ აღიარებდნენ კრედიტებს, ხომ არ იქნებოდა პრობლემა სტუდენტთა სწავლის შედეგზე გასვლის თვალსაზრისით ახალ მოდიფიცირებულ პროგრამასთან მიმართებით.

დაწესებულების მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ამ საკითხებზე მუშაობა დაწესებულებას ჯერ არ ჰქონდათ დაწყებული, თუმცა გეგმავდნენ ასეთი რეგულაციების ამსახველი დოკუმენტის შემუშავებასაც. იმავე კითხვაზე, ექსპერტმა განმარტა, რომ ასეთი მექანიზმები დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული, პირველი და მე-2 კურსებისათვის შესაძლოა არ ყოფილიყო პრობლემა, თუმცა მაღალი კურსებისათვის კარგად გასააზრებელი იქნებოდა პროგრამაზე გადაყვანის მექანიზმები. უნდა მომხდარიყო მეორე დონის ინტეგრაცია და სტუდენტებს გარკვეული დრო უნდა მისცემოდათ კლინიკური სწავლებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ის პროგრამა რომელზეც მიღებული ჰქონდათ პირობითი აკრედიტაცია და ეხლა ახორციელებდნენ, ძალიან მიახლოებული იყო დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. ამდენად მოდიფიცირებულ პროგრამაზე სტუდენტთა გადაყვანა არ იქნებოდა პრობლემური. პროგრამის ხელმძღვანელმა დამატებით დასძინა, რომ შემუშავებული პროგრამა მისადაგებული იყო ახალ დარგობრივ სტანდარტებთან. ამასთან, დაწესებულება პროგრამის მოდიფიცირებას მოახდენდა ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე და შემდეგ მოხდებოდა რეაკრედიტაციისთვის წარდგენა.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდნენ ექსპერტები რეკომენდაციაში სტუდენტები სრულფასოვნად იყვნენ ინფორმირებული დარგობრივი კომპეტენციების, პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების, მათი მიღწევის გზებისა და პროგრამის აღწერილობაში არსებული შეფასების მეთოდების შესახებ, კერძოდ, სილაბუსები იყო თუ არა ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის.

აღნიშნულის თაობაზე, ექსპერტმა განმარტა, რომ სტუდენტებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ინფორმაციას იძიებდნენ ინტერნეტში ამა თუ იმ კურსის შესახებ. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო, რომ კურსის შინაარსის და შედეგების შესახებ თავიდანვე ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ სტუდენტები. სილაბუსები განთავსებული იყო საიტზე, თუმცა იყო კოდირებული, მაგრამ

ყველა სტუდენტს ჰქონდა წვდომა მათზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ პირველივე ლექციაზე კურსის შესახებ პედაგოგი აძლევდა განმარტებას სტუდენტებს, თუ სტუდენტი არ დაესწრებოდა ლექციას ეს მისი პრობლემა იყო.

მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა, თამარ გაიხარაშვილმა საბჭოს გააცნო შემუშავებული რეკომენდაციები:

- საჭიროა მოხდეს პერსონალისთვის აფილირების დადებითი მხარეებისა და მისი მიმზიდველობის უკეთ განსაზღვრა და განმარტება-გაცნობა;
- საჭიროა უცხოელ მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმება, მათი ჩართვა აკადემიურ აქტივობებში;
- პერსონალის კმაყოფილების გაზრდის, ასევე უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებაზე ზრუნვის მოტივაციისა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების მიზნით საჭიროა მეტად მიმზიდველი გარემოს შექმნა, წახალისების, დაჯილდოვების, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის სტიმულირება;
- საჭიროა აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმება და განახლება;
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება უნდა განისაზღვროს პერსონალის დატვირთვის სახეები და დატვირთვის ზღვრული მოცულობა.

საბჭოს წევრი, ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა რამდენად კონკურენტუნარიანები იყვნენ დაწესებულების კურსდამთავრებულები, რაზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ისინი ახორციელებდნენ კურსდამთავრებულთა კვლევებს, პრობლემური იყო უცხო ენის კომპეტენცია, რის გამოც მოდიფიცირება მოახდინეს პროგრამაში და უკვე 4 სემესტრის განმავლობაში ასწავლიდნენ ინგლისურს და კურსდამთავრებული გადიოდნენ B2 დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა თუ არა ენის ცოდნის შეფასების მექანიზმი, კერძოდ, ვის რა დონეზე ესაჭიროებოდა ენის გაძლიერება და ამის მიხედვით ხდებოდა თუ არა მათი გადანაწილება შესაბამის ჯგუფებში. ექსპერტმა განმარტა, რომ ასეთი დანაწესი ექსპერტებს არ უნახავთ.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ერთი პრობლემური საკითხი უკავშირდებოდა ახალ დარგობრივ სტანდარტზე პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფას, მეორე ეს იყო ახალ პროგრამაზე სტუდენტთა გადაყვანის მექანიზმების არ არსებობა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრა.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებზე მათ ყურადღება არ გაუმახვილებიათ, თუმცა B2 დონეზე მოთხოვნა უცხოენოვან პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში ნამდვილად იყო დადგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ გვერდზე. აღნიშნული გარემოება საბჭოს წევრებმა გადაამოწმეს დაწესებულების ვებ გვერდზე და ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ისინი ამ ინფორმაციას ერთად მოუყრიდნენ თავს და განათავსებდნენ ვებ გვერდზე.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 19:41 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:56 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, როგორ ამოწმებდა დაწესებულება აკადემიური პერსონალის ენის კომპეტენციას. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდებოდა სტანდარტულად, კონკურსის წესით. ენის კომპეტენციის დასადგენად ტარდებოდა გასაუბრება, რომელსაც ატარებდა კომისია და მასში შედიოდნენ დარგისა და ენის სპეციალისტები. საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე მოეთხოვებოდა თუ არა კონკურსანტს ინგლისურ ენაზე საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება, ექსპერტმა განმარტა, რომ ასეთი მოთხოვნა არ იყო გათვალისწინებული, თუმცა საკმაოდ დიდი ფუფუნება იყო ჩვენს რეალობაში ასეთი გამოცდილების ქონა, რადგან ინგლისურენოვანი პროგრამები ძალიან ცოტა დაწესებულების მიერ ხორციელდებოდა, მედიცინის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე რა განსხვავებული შრომის პირობები ჰქონდა აფილირებულ პერსონალს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შრომის ანაზღაურება საათობრივი წესით ხდებოდა, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა პოზიციის ქონის შემთხვევაში ანაზღაურება განსხვავებული იყო, ასევე, დაწესებულება უფინანსებდა აფილირებულ პერსონალს კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს, და ამის საკმაოდ ბევრი პრეცედენტები ჰქონდათ.

საბჭოს წევრის, გიორგი აბრამიშვილის კითხვაზე, თუ რა სერვისებს სთავაზობდა დაწესებულება საზოგადოებას, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ პალიატიურ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც მათი სტუდენტები ეხმარებოდნენ პალიატიურ პაციენტებს. ამასთან, უახლოეს მომავალში დაგეგმილი იყო საინტერესო აქტივობა, რომელიც ეძღვნებოდა მობილურზე და ინტერნეტზე ადამიანის დამოკიდებულების საკითხებს, ტრენინგს დაწესებულება ატარებდა უცხოელი პარტნიორის მონაწილეობით და ელოდებოდნენ საზოგადოების დიდ ჩართულობას.

მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა წარმოადგინა მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, ექსპერტები ძირითად აქცენტს სტუდენტის საჩივრების განხილვის წესის ჩამოყალიბებასა და არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე აკეთებდნენ.

- საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედ მსგავს ან ურთიერთდაკავშირებულ დოკუმენტებში მოცემული დეფინიციები ერთგვაროვანი უნდა იყოს;
- საჭიროა არსებობდეს სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირების კონკრეტული პროცედურა, რაც ინფორმირების პროცესს უფრო ფორმალურს, ყველა სტუდენტისათვის უნიფიცირებულს და თანაბრად ხელმისაწვდომს გახდის;
- საჭიროა სტუდენტების საჩივრების მიღებასა და რეაგირებაზე არსებობდეს ფორმალური წესი, რომელიც ცნობილი და თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისათვის, მით უფრო სტუდენტების რაოდენობის გაზრდის გეგმის გათვალისწინებით;
- სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის, ასევე კარიერული და მხარდაჭერის სხვა ღონისძიებების მნიშვნელობა უნდა იყოს სათანადოდ შეფასებული და მიმართული ეფექტურ ფუნქციონირებაზე სტუდენტების ინტერესების სასარგებლოდ, რაც უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნულზე პასუხისმგებელი სამსახურის საქმის სპეციფიკასთან შესაბამისი კომპლექტაციით;
- სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში ყურადღება უნდა დაეთმოს სტუდენტებისათვის კარიერის განვითარების სხვადასხვა ალტერნატივების გაცნობას;
- კარიერული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად კვლევები უნდა დაიგეგმოს უფრო მიზანმიმართულად და მოიცავდეს უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტს სრულად;

- სტუდენტთა კომპეტენციების შეფასების, ასევე სტუდენტთა მხარდამჭერი და სხვა აქტივობების შესაფასებელი გამოკითხვები უნდა იყოს უფრო სპეციფიური, დეტალიზებული და მიზანთან შესაბამისობით დაგეგმილი.

საბჭოს წევრის, გიორგი აბრამიშვილის კითხვაზე თუ როგორი იყო სტუდენტთა მობილობის სტატისტიკა, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ამ მხრივ ძალიან დადებითი იყო სტატისტიკა, დაახლოებით 7-8 სტუდენტი გადადიოდა მობილობით მათგან, საიდანაც 2-3 სტატუსშეჩერებულ იყო.

ექსპერტმა, თამარ გაიხარაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით, სადაც ძირითად მიგნებად სამეცნიერო კვლევების შეფასებას მიუთითებდნენ:

- გეომედი სასწავლო უნივერსიტეტია და შეზღუდული ფინანსების პირობებში აუცილებელია განისაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები;
- საჭიროა ბიუჯეტის მეტად დეტალიზირება სამეცნიერო კვლევების კუთხით (ასე მაგალითად როგორ იქნება დახარჯული და რამდენი იქნება გამოყოფილი უშუალოდ კვლევაზე, კონფერენციის ჩატარებაზე, ლაბ-ის აღჭურვაზე და სხვა);
- კონფერენციის მასალები მისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზე, რათა მოხდეს პლაგიატიზმის თავიდან აცილება და შედეგების დისემინაცია;
- საჭიროა დეტალური ინტერნაციონალიზაციის გეგმის შემუშავება სამეცნიერო პრიორიტეტების გათვალისწინებით;
- საჭიროა განისაზღვროს ფინანსური მხარდაჭერა კვლევის ინტერნაციონალიზაციისათვის;
- საჭიროა განისაზღვროს კონკრეტულად როგორ მოხდება ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვა და დაინტერესება.

საბჭოს წევრი, ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა, ის ფინანსები, რომელიც გათვალისწინებული ჰქონდა დაწესებულებას ბიუჯეტში, იყო თუ არა საკმარისი სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერისათვის. მანანა ცერცვაძემ განმარტა, რომ ბიუჯეტში ასახული იყო 124 000 ლარი, თუმცა ეს გაცილებით მეტი იყო, დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა ახალი სიმულაციური ლაბორატორია, მუდმივად ხდებოდა სასწავლო და სამეცნიერო ინვენტარის განახლება.

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თამაზ ხვიჩიამ განმარტა, რომ დაწესებულება 22 წელი არსებობდა ბაზარზე და იყო მომგებიანი კომპანია. დამფუძნებელი ძირითადად უარს ამბობდა დივიდენდების გატანაზე და ახდენდა თანხების რეინვესტირებას. მუდმივად ხდებოდა დაწესებულების განვითარებაზე ზრუნვა, შენობების გარემონტება და სხვა.

საბჭოს წევრი, აკაკი ხელაძე დაინტერესდა რამდენად სავალდებულო იყო მაგისტრანტი გასულიყო წინასწარ დაცვაზე და თუ შეეძლო მას პირდაპირ საბოლოო ნაშრომის დაცვაზე გასვლა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა აფციაურმა განმარტა, რომ წინასწარი დაცვა იყო სავალდებულო. მაგისტრანტისთვის წინასწარ დაცვაზე გასვლა ძალიან ხელშემწყობი ფორმა იყო, რადგან ის ინფორმირდებოდა თუ რა ხარვეზები ჰქონდა და დაცვისთვის უფრო მომზადებული იყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი გვალიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მიმდინარე სამეცნიერო კვლევითი პროექტი და როგორ აფასებდნენ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობას. ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა მიმდინარე კვლევითი პროექტი, თუმცა აკადემიურ პერსონალს ჰქონდა კვლევები, რომლებიც იყო უფრო პირადი ხასიათის და არ ასოცირდებოდა სასწავლო უნივერსიტეტთან.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა დაზუსტების მიზნით იკითხა პათომორფოლოგიური და მედიკობიოლოგიური დეპარტამენტები არსებობდა თუ არა დაწესებულებაში, რადგან ისინი არ იყო მითითებული სტრუქტურაში, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ ასეთი ერთეულები ნამდვილად არსებობდა.

ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო მე-7 სტანდარტის რეკომენდაციები:

- სამედიცინო სკოლის სასწავლო და საგამოცდო პროცესის უზრუნველყოფისთვის საჭიროა მეტი სივრცე და ინვენტარი არსებული ლაბორატორიებისათვის, მათი ნაწილი საჭიროებს განახლებას;
- OSCE სადგურები რაოდენობრივად გასაზრდელია;
- არსებულ ტერიტორიებზე (ძველი ფლიგელი) სანიტარული კვანძების მოდერნიზაცია, რეაბილიტაცია;
- ბიბლიოთეკა მოითხოვს სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების არსებობას, შესაბამისი სივრცის არსებობის პირობებში კართოტეკებით აღარ დაიტვირთება ბიბლიოთეკის ძირითადი სივრცე და საცავითაც იოლად ისარგებლებს პერსონალი;
- გაიზარდოს ბიბლიოთეკის სამუშაო საათები სტანდარტის შესაბამისად;
- ჩატარდეს სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა საბიბლიოთეკო რესურსების და ზოგადად ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ;
- დაიხვეწოს ბიბლიოთეკის განახლების სისტემა;
- მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების უკეთ გაცნობა როგორც სტუდენტებისთვის ასევე აკადემიური პერსონალისთვის;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი საჭიროებს განახლებას და გამართვას, ყველა მნიშვნელოვანი ველი უნდა ფუნქციონირებდეს, მითუმეტეს ის ნაწილები რომლებიც სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის საჭირო ინფორმაციას მოიცავს;
- საჭიროა ბიუჯეტის დაგეგმვისას კვლევით ნაწილზე უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, რაც მის ბიუჯეტირებას უფრო ნათელს გახდის;
- პროგრამათა მდგრადობისათვის უმჯობესია, გარდა სტუდენტების მიერ გადახდილი გადასახადისა, გაიზარდოს გარე გრანტების წილი;
- სკოლებს/პროგრამებს შორის ფინანსების დისტრიბუციის გამჭვირვალობა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელიმე ელექტრონული სისტემა თუ იყო დანერგილი სასწავლო პროცესის მართვაში, რაზეც დაწესებულებამ დაადასტურა, რომ ასეთი პროგრამა ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა აზრი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულების ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით იყო განსაზღვრული, თუმცა სრატეგიულ მიზნებთან ბიუჯეტის ბმა არ ჩანდა. ასევე, კითხვა დასვა თუ საკმარისი არ იქნებოდა სამეცნიერო განვითარებისთვის 124000 ლარი, რა ალტერნატიული გეგმა ჰქონდა დაწესებულებას შემუშავებული. აღნიშნულთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ თუკი დამატებითი ფინანსები იქნებოდა საჭირო დამფუძნებელი დივიდენდს არ გაიტანდა და განსახორციელებელ აქტივობებს დააფინანსებდა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ დაწესებულება საკმაოდ განვითარებული იყო, 100-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავდა და ბევრი მიღწევაც ჰქონდა, თუმცა მხოლოდ უარყოფით საკითხებზე მსჯელობდნენ ექსპერტები დასკვნაში. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტებს დადებითი შეფასებებიც ჰქონდათ გაკეთებული, მათ შორის საბჭოს წევრებმაც აღნიშნეს დაწესებულების დადებითი მხარეები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ გაცნობიერებული რომ რომელიმე სტანდარტი არ იყო ბოლომდე გამოკვლეული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ საბჭომ ყველა სტანდარტი ამოწურა ბოლომდე და მათ უკმარისობის გაცნობა არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 20:40 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 21:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს, ჰქონდათ ხანგრძლივი დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნა, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდა, როგორც ექსპერტთა შეფასებას, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, ასევე საჯარო განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებს.

საბჭომ დაადგინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ანალიზის, დაწესებულების მიერ მონიტორინგისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და საბჭოს ზეპირი განხილვის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდნენ, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი ვალდებულებები შესრულებული მედიცინის ახალი დარგობრივი მახასიათებლების პროგრამაში გათვალისწინებასთან დაკავშირებით, ასევე არ ჰქონდა შემუშავებული მოდიფიცირებულ პროგრამაზე სტუდენტთა გადაყვანის მექანიზმები, იმ პირობებში, როდესაც მედიცინის პროგრამის ახალ დარგობრივ მახასიათებლებზე გადაწყობის შემდგომ მნიშვნელოვანი განსხვავებები იქნებოდა ძველსა და ახალ პროგრამას შორის. საბჭო ასევე ითვალისწინებდა დაწესებულების ძლიერ მხარეებს, რომელიც პროფესიონალი და ძლიერი კადრების არსებობაში გამოიხატებოდა, რაც იძლეოდა შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების შესაძლებლობას. საბჭო მიიჩნევდა, რომ დაწესებულებას უნდა განესაზღვროს ხარვეზების გამოსასწორებელი ვადა და ექსპერტების მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს დაემატოს შემდეგი რეკომენდაცია:

- დაწესებულებამ შეიმუშაოს, მოდიფიცირებულ პროგრამაზე, არსებულ სტუდენტთა გადაყვანის მექანიზმები, რომლითაც მოხდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედისთვის ხარვეზების გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედს (ს/კ: 204909858) დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 21:15 საათზე.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე



მდივანი
ნინო ხოლუაშვილი

